# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
## სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ თავმჯდომარის ბრძანება

KA012183960512521

№17/ს

21 / ივლისი / 2021 წ.

# საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ

**ავტორიზაციის მსურველი პირი:** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)

**მოთხოვნა:** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის კვალიფიციურ სანდო მომსახურებაზე მინიჭებული ავტორიზაციის განახლება, აგრეთვე, დამატებით 2 (ორი) სანდო მომსახურებაზე ავტორიზაციის მინიჭება.

**აღწერილობითი ნაწილი**

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს (უფლებამონაცვლე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ციფრული მმართველობის სააგენტო - შემდგომში - ციფრული მმართველობის სააგენტო) 2019 წლის 29 ივლისის №38/ს ბრძანებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭა ავტორიზაცია 2 წლის ვადით შემდეგი მომსახურებებისთვის:

ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა;

გ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

2021 წლის 1 ივლისის N01/128484 განაცხადის საფუძველზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოითხოვა ავტორიზაცია შემდეგი მომსახურებებისათვის:

ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

გ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

დ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ე) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ვ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება;

ზ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურება;

თ) გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნება.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადს თან ერთვის:

ა) შპს „იუაი საქართველოს“ 2021 წლის 18 ივნისის აუდიტის (შეფასების) მე-3 ფაზის დეტალური ანგარიში;

ბ) აუდიტის (შეფასების) მე-3 ფაზის დეტალური ანგარიშის „ა“ დანართი;

გ) შპს „იუაი საქართველოს“ 2021 წლის 18 ივნისის აუდიტის (შეფასების) მე-3 ფაზის განზოგადებული ანგარიში;

დ) შპს „იუაი საქართველოს“ 2021 წლის 18 ივნისის თანმხლები წერილი;

ე) „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 19 თებერვლის №98/ს ბრძანება;

ვ) „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა“ - დანართი №1;

ზ) ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დანართი სამსახურების პრიორიტეტების თაობაზე;

თ) „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 19 თებერვლის № 98/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 15 აპრილის № 168/ს ბრძანება და მასზე თანდართული დანართი № 1 - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;

ი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 12 იანვრის № 13/ს ბრძანება და შესაბამისი დანართები ( № 3 - სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტი);

კ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 12 იანვრის № 13/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 1 თებერვლის №32/ს ბრძანება დანართით;

ლ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 12 იანვრის № 13/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 1 თებერვლის №32/ს ბრძანება დანართით;

მ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 12 იანვრის № 13/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 31 მარტის №150/ს ბრძანება დანართით;

ნ) „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 24 მარტის № 140/ს ბრძანება დანართით (დანართი - სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი);

ო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 24 მარტის N140/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

პ) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, 2021 წლის განმავლობაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ ინფორმაცია;

ჟ) სანდო მომსახურებათა ჩამონათვალი და აღწერა (HTML ფორმატში);

რ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადზე თანდართული 2021 წლის 18 ივნისის აუდიტის (შეფასების) დეტალური ანგარიში მომზადებულია შპს „იუაი საქართველოს“ მიერ და მასში ასახულია საერთაშორისო სტანდარტების (ETSI EN სტანდარტების სერია), „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით შიდა კონტროლების სისტემის, მმართველობითი და სერტიფიკაციის მხარდამჭერი პროცესების, ასევე ტექნიკური კონფიგურაციების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მათი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი მიდგომები და რეკომენდაციები. როგორც დოკუმენტში აღნიშნულია, უკანასკნელი ანალიზის შედეგები წარმოდგენილი იყო შეფასების II ფაზის დეტალურ ანგარიშში, რომელიც გადაეცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 6 მაისს, ხოლო შეფასების III ფაზის მიზანს წარმოადგენს სააგენტოს მიერ შეფასების II ფაზის დროს გამოვლენილი კონტროლების ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით განხორციელებული გამოსასწორებელი ქმედებების ანალიზი.

აუდიტის დეტალური ანგარიშის შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მითითებული მომსახურებების შეფასება განხორციელდა „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №343 დადგენილებისა და შემდეგი სტანდარტების მიმართ:

| **მომსახურება** | **მომსახურების აღნიშვნა** | **სტანდარტი** | **ვერსია** |
|---|---|---|---|
| ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის გაცემა | Bio. Encryption | ETSI EN 319 411-1 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 1: General requirements | V1.2.2 (2018-04) |
| ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის შენახვისა და ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციის მომსახურების მიწოდება | | | |
| კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე | ESignature | ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates | V2.2.2 (2018-04) |
| კვალიფიციური ელექტრონული შტამპის<br><br>სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ<br><br>წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე | ESeal | ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates | V2.2.2 (2018-04) |
| კვალიფიციური ელექტრონული შტამპის | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის<br><br>ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ<br><br>კვალიფიციური ელექტრონული შტამპის<br><br>შექმნის საშუალებაზე | | | |
| კვალიფიციური ელექტრონული შტამპის<br><br>სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე | | | |
| კვალიფიციური ელექტრონული შტამპის<br><br>სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ<br><br>კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე | | | |
| დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება | Timestamping | ETSI EN 319 421 Policy and Security Requirements for Trust Service Providers Issuing Time-Stamps | V1.1.1 (2016-03) |
| სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურების მიწოდება | OCSP | ETSI TR 119 411-4 ტექნიკური რეპორტის დანართად წარმოდგენილი საკონტროლი კითხვარის „გაუქმების სტატუსის მომსახურება" ("Revocation Status Services") კომპონენტით განსაზღვრულ ETSI EN 319 411-1 და ETSI EN 319 411-2 სტანდარტების მოთხოვნები.<br><br>ჯამში 36 მოთხოვნა. | V1.2.2 (2018-04)<br><br>V2.2.2 (2018-04) |
| გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნება | CRL | | |

როგორც აუდიტის დასკვნაშია მითითებული, შეფასების III ფაზის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები, რათა შეფასებულიყო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პროექტის II ფაზის დროს გამოვლენილი კონტროლების ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით განხორციელებული სამუშაოები. შეფასების მე-3 ფაზის განზოგადებული ანგარიშის თანახმად, 2021 წლის 18 ივნისის მდგომარეობით შესრულებული პროცედურების შედეგად არ გამოვლინდა არსებითი შეუსაბამობები ზემოაღნიშნული სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან მიმართებაში.

**სამოტივაციო ნაწილი**

წარმოდგენილი განაცხადის განხილვის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ირკვევა, რომ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემის მომსახურება გამიჯნულია და დაკონკრეტებულია, როგორც: ა) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა

განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე; ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე; გ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე; დ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე.

აუდიტის დასკვნისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალურად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აკმაყოფილებს როგორც „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე - „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის № 343 დადგენილებითა და „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №308 ბრძანების მოთხოვნებს განაცხადში მითითებული ყველა სანდო მომსახურების მიმართ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ ისარგებლა დისკრეციული უფლებამოსილებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე, გადაწყვიტა:

1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭოს ავტორიზაცია შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების მიმართ:

ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა

ბ.ა) განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.ბ) განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.გ) სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.დ) სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

გ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება;

დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურება;

ე) გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნება.

2. დასრულდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 1-ლი ივლისის №01/128484 განაცხადის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებისთანავე გამოქვეყნდეს ვებგვერდზე (www.data.gov.ge) და ძალაში შევიდეს 2021 წლის 21 ივლისს;

3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია შეტანილ იქნას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში;

4. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის ვადა აითვალოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში ინფორმაციის შეტანის მომენტიდან;

5. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში
(მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპვასულია